

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

საბავშვო



საქართველოს საბავშვო ჟურნალი

თებერვალი
№ 3

1910

მთავარი რედაქტორი
წამყვანი რედაქტორი

შინაარსი

- I—შელია და კურდღელი,— ჟეჟია, ბანანასი..... 3
- II—ბელურა და ნაცარა,— ი. კვდოშვილისა..... 5
- III—არეულობა,— სურათი სუმაწვილო თეატრისთვის, ორ-
მოქმედებად, სმიგინისა. თარგმანი მ. კლიმაშვილისა..... 10
- IV—პირუტყვების კუთა, — სმილო-გამდელი, ოღლა ჭრე-
დაშვილისა..... 19
- V—ვირის თავგადასავალი.— XXIV ქურდები, — (ფრანგუ-
ლით) ან. ამილასურისა..... 20
- VI—ა) ანეგდოტი ბავშვების ცხოვრებიდან, —ბ) რებუ-
სი და ალსნა..... 24





სული
ქიქვი

წილიწილი 82-VI.

№ 3

თბილისი 1910 წ.

223



ბესიძის სპეციალური
თბილისი
საბჭო

ტფილისი, ელექტრონის სკამა წიგნების გამოცემულ ქართველთა ამხანაგობისა.

შინაარსი

I—მელია და კურდღელი, — ლექსი, ბანანასი.....	3
II—ბელურა და ნაცარა, — ი. კვდოშვილისა.....	5
III—აირელობა, — სურათა საემაწვილო თეატრისთვის, ორ- მოქმედებად, სმიტინას. თარგმანი შ. კლიმაშვილისა.....	10
IV—პირუტყვების კაცა, — სწიღო-გამდელი, ოფლა ჭრე- დაშვილისა.....	19
V—ვირის თავგადასავალი. — XXIV* ქურდები, — (ფრანგუ- ლით) ან. აშილასერისა.....	20
VI—ა) ინეგლოტი ბავშვების ცხოვრებიდან, — ბ) რებუ- სი და აღსნა.....	24





მელია და კურდღელი



ძიერი მელა კურდღელსა
შეჰსჯდა და თხვი დაუკრა.
უნდა ხელიც ჩამოერთვა,
აღერსით სიტუვა გაუკრა.
მაგრამ კურდღელი არ ენდა,
ქამანხა სხვაფერ დაუკრა.

უთხრა; „მელიაჲ, კურდღლისა
ნეტა რა გეკითხებო?

მმა ჩემი არ ხარ და თვისი,
თვალებიც დაგიდგებო“.

მელიამ უთხრა: „კურდღელო,
მაგას რად მემართლებიო:

ცოლიც მომიკვდა, შვილიცა;
სვედისაგანა ვკვდებიო.


ამოდენ ქვეუხანაშედა

ჩემთვის არაჲინ არიო:

არც ძმა, არც ტომი და თვისი,
 არც გულის მეგობარი.“
 — „ახლა მე რა ვქნა?—ჯანაბას
 შენი თავი და ტანიო!“
 — ისა, რომ შემსჯდე, ხმა გამეც,
 არ ამარადო თვალიო...
 კურდღლის ხმა დაშენატრულა,
 გაჭქრეს ეს დრო და ჯამიო!
 კურდღელმა უთხრა: „კარგს იხამ,
 თავში დიცე ქვანიო,
 რომ მაგდენს ტუეილებს მოჭრეს
 შენი ეშმაკი თავიო.“
 უთხრა და კიდევ მოჭკურცხლა,
 გადაირბინა ველია;
 გაწბილებული დასტოვა
 ჩვენი ცბიერი ძელია!

ბაჩანა





ბელურა და ნაცარა



რ ვიცი, არ ვიცი, ჩემო დაიკო, როგორ გავართვათ თავი ამ უიამთ სამთარს! ღმერთმანი, სულს არ მინდა დაუძძი, თორემ თავს მოვიკლავდი! შესხიდა ბელურა ნაცარა ქათამს და თან ფრთებს ძაღსე იკრავდა

გვერდებზე, თოვლი-კი ჩელ ნელა ჩამოდიოდა ძირს და თეთრად ფენებოდა დედამიწას.

— ნუ გეძინიან, ჩემო ძამიკო, რად იტეხავ გულს, შენ ვერ ასაღვასდა ხარ; მართალია, სამთარი არ გინახავს, მაგრამ არა უძავს-რა, შეეხვევი, — ანუ გემა ნაცარამ და ფეხის ფრხილები გაჭკრა ნაკავს, რომ ძამიკოსათვის რამე საჭმელი გაძოვნახს თოვლის ქვეშა.

— მაღლობელი ვარ, შენ გეჩვენებოდა ჩემი თავი; შენც რომ არა შევანდე, შიშხილი მომკლავდა.

გადუხადა ბელურამ მაღლობა და საჭმელს ძებნა დაუწყო.

— გუშინ თქვენი დედაბერი, კვლავ განაგრძო მან ბახსი, ძალიან გაძირისხდა, როდესაც შენთან ერთად საკენკსა ვკენკავდი. «ქათმებისათვისაც-კი ვერ მძოვია საჭმელი და ეს ვიღა მოთრეულობა!»

— მართალია, ჩემო ძამიკო, ძალიან ღარიბები არიან, ხანდისხან საწულებს მჭადიცი-კი არა აქვთ საჭმელად,—აუსხნა ნაცარამ ძამიკოს.

— ეჭ, ძაკათ კიდევ რა უჭირთ! აი, წუსხელ სათვალეიდან ერთ ქოსის ჭვრში შევუვერ, შეგონა—ძირს ცეცხლი ენთებათ, ეთბილება მეთქი, ძაკრამ ძალზე ციოდა, ავადყოფი ეწვათ, კვნესოდა და ისიც ჩემსავით სიცვიით კანკალებდა. კატაცი-კი შიმშილით უკვდებათ; იმ წვეულება, არ ვიცი, როგორ მოძაგნო, კუნჭულში ვიუბ მბუხული, მოძმაროდა, ის-კი იყო, უნდა ვერაგულად დამცემოდა თავს, მაგრამ ვაუსხლტი, გამოფორინდი და მთელი ღამე გარედ მუსის გამხმარ ძირკვეში გაუბთენე.

— ღმერთო, შენ დაისხენ საფრთხესაგან უოველი გაჭირვებული!

ჩააწო ნაცარამ თოვლის კუბეში ნისკარტი და აიხედა ძალღა ცისაკენ. ბელურამაც სიბრალულის ნიძნად რაძდენჯერმე გადააქნ-გადმოიქნა თავი, მაგრამ მისი ეშმაკური თვალბეი-ძაინც ძირს ნაკავს ჩაჭურვება.

— ეი—კაკაკაკა—ეი—კაკაკაკა... კაინმა ამ დროს ძამ-ლების და დედლების ეიუნ-კაკანი. ეჭვი არ იყო, ესოს ქორმან მერამ წამოუქროლა. შეშინებული მეკობრებიც დაფაცურდნენ. შესწევითეს ლოცვა-ვედრება და გაჭქრენ სანაკვადან. ნაცარა ბოსლის კედელს აკრა, ბელურა-კი ბოსტანში გადაფრინდა და მიიძალა.

საღამო მოტანებული იყო, ეჭვი არაა, ჯივი ღამე იქნებოდა, რადგან ჩრდილოეთიდან სუსხიანმა ნიავმა დაჭებრა და ცამაც მოიწმინდა.

* * *

— დილა მშვიდობისა, დილა კარვა ეოფნისა, ჩემო კეთილო დაიავ! მიესალმა მეორე დილით ბელურა ნაცარას ბოსლის სახურავიდან და ძირს ჩამოსაფრენად კისერი ჩამოჭიმა.



— ჩამოდი ძირს, რისა კვკრძალება, ჩემო ძამიკო, რომა კარგად გაშეოფოს, მობრძანდი, კენაცვა, სომ კარგად კათენე ღამე? მოიკითხა ნაცარამაც.

— ეჰ, კანა ღარბიბისათვის ოდესმე კათენებულა?! — მოიხივლა ბელურამ, თუძცა-კი იმ ღამეს კარგი თავშესაფარი იშოვნა, რადგან გომურის სანათურში ჩაიპარა და საქონლისაგან გამთბარს სადგომში თბილად გამოიძინა.

— მართლაც და ძრიელ ცივი ღამე იყო, ჩვენს მამძლსაც-კი ბიბილო გაულურჯდა და მთელი ღამე ათასთახებდა.

— ვაი ჩვენს ცოდვას! ჩაიწრიპინა ბელურამ და დაეშვა გუშინდელს ნაგავსე.

ნაცარა ჩვეულებისამებრ ფეხებით მუძაობდა, ბელურა-კი მის კანაკვალსე ექებდა საჭმელს.

— თუძცა საუსმე კიანხელ, მაგრამ, რას იხამ, ძრიელ ცოტას გვიურის ჩვენი ღედაბერი. ნაგავს გამოფევევართ იოლად.

— ღმერთმა უშველოს ჰატარა გიგას და დახწროს უოკელ ახალ წელს სიხარულით! დასწმენდს თუ არა გომურს, მაშინვე აქეთ მოაქვს ნაგავი, — დალოცა ბელურამ გიგა და მოჭევა მის ქებათა-ქებას. მაგრამ ამდრ ის დაინსაკუნა რაღაცამ, ნაცარა ძირს დაეცა ფთხრიბლით, ერთხანს კოტრიბლობდა, შერე-კი, როგორც იყო, წამოდგა და გასწია საქათმისაკენ. ბელურამაც, რასაკვირველია, აღარ მოუცადა ამბის გაგებას და მოუსვა, საითაც მოჭსვდა.

* * *

მაინის შუა რიცხვები იყო. მშვენიერი ღარი იდგა. ტყე, მინდორი და ველი ბიბინებდა. ჭევაოდა არე-მარე. „ტიავ, ტიავ, ტიავ“! ისმოდა ბულბულას გალობა. მაშვი ხან მავკლიანში ჩაფრინდებოდა სტვენით, ხან მოსწურავდა ფრთებს და მიჭქროდა ჭვარში. „კაჭ-კაჭ-კაჭ“! სტუნობდა ხის ტოტი-

დან ტოტზე კაჭკაჭი და ესაუბრებოდა თავზადუნულს დაბნელებულს.
სულ ვეაზს. არც ბელურები იუვნენ განუძებულნი. თვისის ჩვე-
ულებრივის ჭვივ-ჭვივით დარეოდნენ მინდორს, ტყეს, კალო-
ებს, სახლის ეზოებს... გადარჩინოდა სამთარს ნაცარას ძაძი-
კოც. გადაეყარა გულს ბოღმა და კაკლის ტოტიდან უელ-მო-
ღერებული ათვლიერებდა ნაცარას ეზოს, რომელაც აღარ
ენახა უკანასკნელ შემთხვევის შემდეგ.

— ნეტა ცოცხალი იქნება ჩემი დაია?—ფიქრობდა ბელუ-
რა და ათვლიერებდა ნაცარას ქათმებში.—საწყალი არსად
არა სჩანს, უეჭველად უბედურება შექმნისვა!—წაიწრიზინა და-
ღონებულმა და ის კი იყო, უნდა მოესვა მინდორისაკენ, რომ
ამ დროს ლაშქარებიდან თავი გამოქეო მისმა მეგობარმა.

— დაიკოს ვახლავარ, დაიკოს! როგორ მშვიდობით გი-
კითხო! უკაცრავად, ვეღარ გნახე, ხომ მშვიდობით ბრძანდები?

— კრუს-კრუს-კრუს... გამოვლავარავა შამხარებიდან ნა-
ცარა და თან თავის ჰატარა წიწილებს მიუკრავარა.

— შენ როგორ-ღა გკითხო, ჩემო დაია? რა ლამაზი
ოქროს ფერი შეილება ვეაზს! როგორ ვატარე სამთარი?—
ვეითებოდა სხავა-სხუბათ უკვე მირს ატმის ტოტზე ჩამო-
შვებული ბელურა.

— აი, აბა, შემოჭნედე ჩემს უბედურს ფეხს, დაკოჭლდი,
დავმასინჯდი, ძლივს-ღა დავხანსალები!—შესჩივლა ნაცარამ და
ცალი ფეხი მღღღ აიკაუჭა.

— უი, მოგიკვდეს ჩემი თავი, რა დაგეძრთა, კანაცვა?—
მიუბლერსა გულმტკიცხეულად ბელურამ და შემოუკინკილა გარ-
შემო, რომ უფრო კარგად დაუთვლიერებინა თვისი მეგობარი.

— რა დამეძრთა და ძრიელ დიდი უბედურება... ცალი
ფეხი დამიშავდა, ღმერთი რო გაუწერეს ჩვენს გიგას, გან-
სოგს, ამ სამთარს მარს რო დავეცი და ფრთხილი შევექენ,
კაკანათი დაგეო მართვის და მე კი მომეტანა შიგ ფეხი. მას



აქეთა დაგოჭლობ, დაუნანსალებ, აღარც დედაბურმა ვენა, კრუსად დამსვა...

— ვაი, შენს ძამიკოს, რომ ამ დღეში გხვდავს! ეს სომ ჩემი გულისთვის დეგემართა, ჩემის შიშესით... მე რომ არ გსტუმრებოდი, სომ...

— ეჭ, რა უყოთ, — აღარ დაათაუებინა ნაცარამ ბელურას სიტყვა, იტყვიან სოლმე: „ძმა მშინთვინა — შავ დღისთვინაო.“ შენ რომ მოჭეოლოდი კაკანათში, ცოცხალი ვუღარ გადარჩებოდი, მე კი მსოლოდ ფეხა დაშიშავდა. დემრთს შადლი, რომ მშვიდობით გხვდავ!..

— იმ შავ-ბნელ დღის შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთს გავშორდით, მეც ბევრი უბედურება დამატედა თავს, ბევრჯერ კვიდა მათუხე ჩემი სიცოცხლე, მაგრამ, როგორც იყო დავესწარ გაზაფხულს.

— დემრთმა მრავალ ამ დროს დეგასწროს, ჩემო ძამიკო!

— დემრთმა შენც გიღსინოს და გაგაცხაროს შენის შვილებით. მერე რა ღამე-სები არიან! — მაესივეარულა ბელურა წიწილურს და მათთან ერთად გასწია სტუნვითა და ბაასით მწვანე ბალახისკენ.

გაზაფხულის დილა კი ვალერსებოდა ორს მეგობარს და მათს მსიარულეებს შეჭხაროდა ბუვავილებული ღამეჭარა.

ი. ევლოშვილი





ა რ ე უ ლ ო ბ ა

სურათი საყმაწვილო თეატრისათვის ორ მოქმედებად, სპიციჩისა.

მ ო მ ქ მ ი დ ნ ი

სონა 7 წლისა.

კოტე, ამისი ძმა, 10 წლისა.

ამათი დედა.

მოხუცებული გამდელი.

თინათინი, მეზობელი მოხუცი.

რუბი კნუტი.

I მ ო მ ქ მ ი დ ე ბ ა

სცენა წარმოადგენს საყმაწვილო ოთახს, შირმას იქით ორი კრაოტი სდგას, ერთ გვერდზე მაგიდა და კამოდი; მეორეზე აგრედვე მაგიდა; იატაკზე მოფანტულია სათამაშოები.

გამოსვლა პირველი

(მოხუცი გამდელი დაპლაუკებია სონას ხელში და სცენისაკენ ეწევა. სონას ქურქი აცეია; ხმა შილა სტირის).

გამდელი. ჰბა, შე ჩემო შემარცხვენელო! გეთაუვათ, მუქუთა ბავშვივით არ სტირის! აბა, მომიცადე, დედას უთხრა! ნეტა ტირილად მანცა ღირდეს!

სონა. (სლოკინებს) კნუტი მინდა, კნუტი!

გამდელი. განა რამდენი კატაც დანახო ქუჩაში, იმდენი სახლში უნდა შემოიუვანო?! მერე ნეტავი ხეირანი მანც იუოს, მგონი ქეციანიც არის. კარგი, ჩემო კარგო, გეყოფა ტირილი; შე უფრო კარგ კნუტს გიძოვნი, გაჩუმი, გენაცვალოს ჩემი თავი...

სონა. (სლოკინით) საწეალი გაიუინება... გარედ ძალზედა ვიუბ... მეცოდება საბრალეო კნუტი. (გამდელი სონას პალტოსა ხდის. შემოდის კოტე).

გამოსვლა მეორე

გამდელი. (კოტეს) სულ შენი ბრალი-კია, დარბაისელო! დმერთო მოძვლი, უოველთვის თითო რამ ემშაკობას მოი-გონებს! ესლა სად-ლა ბრძანდებოდი?

კოჭყ. ჰერი-ჭა... სადაცა ბრძანდებოდა, იქ აღარ არის. ჰა, გაიგე რაჲ, ჩემო ბებრუცუნა?!

გამდელი. (ჯავრობით) ჰხედავთ, რაებს შეძახის! გრცხვენოდეს, ვაებატანო! რამდენი ბავუში გამიზრდია, მაგრამ ასეთი არა უნახავს-რბ ჩემ თვალებს.

კოჭყ. (ასკინკილას უვლის, გამდელს ეღრიჯება და მღერის) ჰეი, რისა, რისასა—რძის ქვაბს ვფხეკდი დიღასა; არუ ნანუ ნანასა, დედა მაჭმევეს კარაქსა, ჰე! ჰე! (გამდლის გარშემო უვლის ასკინკილას).

გამდელი. კარგი, განერდი! რა დაგეძართა? სომ არ გადი-რიე? ის კი არაო, რომ წიგნი აიღოს და გაკვეთილი ისწავლოს, ეს, ბატონო, ასკინკილას უვლის! შე ვიცი, შენი მასწავლებელი კიდევ შემოიტანს საჩივარს შენსე. (კოჭყ ანჯღრევს გამდელს) მართლა და რა ამბავში ხარ? ესლავე დედასთან წავალ და ვეტყვი, რომ დაგსავოს, ბიძასთან აღარ წაგიუვანოს.

კოჭყ. (უბად შესწყვეტს ცელქობას და სკამზე გამოიკიშება მოკრძალებული) აღარ ვიცელებ, ღმერთმანი, აღარა! აი, ხედავ რა ჰგვიანათა ვსივარ?!

გამდელი. (დაუვაებით) აი, აგრე არა სჯობიან! (გაღის).

გამოსვლა მისამი

კოჭყ. (უბად წამოხტება და აქეთ იქით იხედება) წავიდა? დიდება ღმერთსა! ძლივს! სონა, მოდი ჩემთან ჩქარა!

სონა. (ივანსცენაზე თოჯინით ხელსში) რა გინდა?

კოჭყ. ჩქარა მოდი, ჩქარა!

სონა. (შიირბენს) აბა, რა გინდა?

კოჭყ. გაშიგონე! შეგიძლიან საიდუმლოს შენახვა? დიდი, დიდი საიდუმლო საქმე მაქვს შენთან! მხოლოდ პატროსანი სიტყვა უნდა მომცე, რომ არავის ეტყვი...

სონა. გაძლევე პატროსან სიტყვას. აბა, ჩქარა მითხარი, მითხარ რაღა!

კოჭე. ეჭვი მაქვს, ვაი თუ ვერ დაფარო საიდუმლო სხვათაგანს!
სონა. გუფიცები, არავის ვეტყვი! კოტე, ჩემო კარგო, მი-
თხარი, ღვთის გულისათვის!

კოჭე. მაშ, შემომეფიცე, რომ არ გამცემ. აი, ასე, სელი აიდე
და დაიფიცე!

სონა (ხელს ასწევს) ვუფიცავ, ვუფიცავ!

კოჭე. მაშ, უური მიგდე (დაიხრება და ყურში ჩასტურჩულებს)
კნუტი მოგიყვანე. აი აქ დერეფანში არის.

სონა. (სიხარულით) რას ამბობ?! რა კარგია! ოჰ, კოტე, რა
ჭკვიანი რამა ხარ!

კოჭე. (დარბაისლურად) მე ვოველთვის ჭკვიანი ვარ; გო-
გოებს სომ არა ვკვებარ? თქვენ მხოლოდ ტირილში ხართ გა-
მარჯვებულები.

სონა. მერე როგორ მოახერხე კნუტის მოყვანა?

კოჭე. ვიდრე გამდელი შენ გებლაუჭებოდა, მე გარედ გავკარდი.
საწვალაი კნუტი კიბესთან ვგდო სიცივისაგან მოკუნტული. სანჭ-
როსე ავიტაცე, ზალტოს ქვეშ ამოვიფარე და ისევ სახლში შემოგ-
მვერი. კნუტი დერეფანში შეაგს; ბებრუცუნამ ვერაფერი ვერ გაიგო.

სონა. ახლა როგორ დაუმალეთ?

კოჭე. საქმეს ეც არის და! ერთი ახლა როგორმე მიკმა-
ლოთ, თორემ მერე დედას შევესგეწები და აღარ გადაგვიგ-
დებს. დედა კეთილია და კატები უყვარს!

სონა. აბა, სად დაუმალეთ?

კოჭე. სადმე მივაფაროთ თვალთაგან. საცა უნდა შევიინა-
ხოთ, ჯერჯერობით ჩუმად იქნება; მთლად გაუჩნულია სიცი-
ვისაგან. მოდი შემოვიყვან დერეფნიდან. შენ აქ თვალი გეჭი-
როს. თუ ვინმე შემოვიდეს, ნიშანი მომეცი.

სონა. კარგია, აბა, მაშ ჩქარა მოიყვანე (კოტე გადის).

გამოსვლა მეოთხე

სონა. (მოუსვენრად დადის ოთახში და აქეთ-იქით იყურება) ოჰ,
რა ნაირად დაიგვიანა კოტემ! ღმერთო, როგორ მეშინიან! გუ-

ლი მიფერდება! გონი ვიდაც მოდის! არა, არა, არავინ არის უმჯველია, მომეჩვენა! აი, კოტეც მოვიდა, ძლივს! (მიიბუნს) სადა გეავს კატა? აბა, მძინენე?

კოტე. აქა შეავს, აქა, საღათ ქვეშა.

სონა. (ათვალიერებს) რა კარგი რამ არის! საწყალი, მართლად გაუნულა. თვალეებს ძლივს ასეღს (უაღერსებს).

კოტე. ჰური ვაძლიე და არ გამოძმართვა. სონა, აბა, უური დაუგდე, ვკონებ ვიდაც მოდის?!

სონა. ჩქარა, ჩქარა დამალე კნუტი!

კოტე. სად დაუმალო?

სონა. დამალე სადმე, ჩქარა! (ორთავენი შეშინებულები დარბიან ოთახში. ვერ მოუხერხებიათ კნუტის დამალვა).

სონა. (თოჯინას ამოიღებს კარდონის ყუთიდან და ყუთს მიაწოდებს კოტეს) აი, ამაში ჩასვი. დასთება კიდეც და ვერც არავინ აზრს მიიტანს.

კოტე. შიგ რომ ამოიხრჩოს?

სონა. თავს მაგრა ნუ დაჭსურავ, ოდნავ დააფარე. აბა, ჩქარა ჩასვი, კესმის? ფეხის სმა მოახლოვდა (კოტე კნუტს ყუთში ჩახვამს, სონა შეფლის და თან კნუტს უაღერსებს).

სონა. აბა, ვინძლო წუნარად იჯდე, ჩემო კარგო, მძვენიერო კატუნია! კოტე, რა დავარქვამთ? მოდი სრუტუნა დავარქვამთ.

კოტე. რაც გინდა, ჩემთვის სულ ერთია...

სონა. (კიდეც უაღერსებს კატას) ჩემად იჯექ, ჩემო სრუტუნავ, ჩქარა ამოგიუვანთ.

კოტე. დასურე თავს და მიდგი სადმე, დედა მოდის! (სონა მარდათა ჰხურავს კარდონს და მაგიდასა და კამოდს შუა სდგავს. ორთავენი შიგ ყუთებში მიიბიან და აღელვებულები შეეგებებიან დედას, რომელიც ამ დროს შემოდის)

გამოსვლა მისუთი

დედა. შვილებო, სადა ხართ? რას აკეთებთ? სონა, რათა ხარ აგრე გაწითლებული? ჩხუბი ხომ არ მოგსვლიათ?

ორივენი ერთხმად. (თავ ჩაღუნულები) არა, დედილო, არა!



დედა. მამ, რა აშბავია, არც ერთს თავსი ფერი არ გადგეგო (მიიხუტებს ერთ მხარეს სონას, შეორებზე—კოტეს) დედის გარეშე ნა-
იდუმლოები გაგინდათ? სონა, რაღაცა საიდუმლო გაქვთ?

სონა. ეველაფერს ძერე ვაძვეით, დედილო (კოტე რალასაც ანიშნებს).

დედა. თქვენი სურვილი იუოს. მე სომ ჩემი შვილებივით ცნობის მოვეზრე არა ვარ, რომ ვერ მოვითმინო! დროა, ტანთ ჩაიცვათ, თუ ბიძასთან გინდათ წასვლა. იქნება არ გინდათ წასვლა? (ორივენი ერთ ხმად) გვინდა, გვინდა!

დედა. მამ, მარდად ჩაიცვით, გამდექს დაუძახებ ჩავაცვათ! (ყველანი გადიან. სონა და კოტე კარებთან რომ მოვლენ, ყუთს გახედავენ და ერთმანეთს რალასაც ანიშნებენ)

ზარდა

II მ ო მ ე მ დ ე ბ ა

გამოსვლა პირველი

(სამის საათის შემდეგ. ისევ ის ოთახი. მაგიდაზე ანთებული ლამფა სდგას. გამდელი იატაკიდან ჰკრეფავს მოშანშლულ სათამაშოებს)

გამდელი. ძლივს არ მოვრჩი დღეებებს! დიერთო, შენს მადლსა, როგორც იყო სიჩუმე ჩამოვარდა. ეველაფერის თავის აშბლელი კი სულ კოტე არის. ძალიან ცელქი ბავშვია. უჯავრდები, ვტუქსავ, მაგრამ ძალიან კი მიყვარს, ეველაფერის მოხერხება აქვს. რასაც კი თვალს მოჰკრავს, მაშინვე მისვდება. ჩემი სონიჩკა სომ ზეციური ანგელოზია, მშვიდი და წენარი... ჩემს თავს მირჩვენინან ორივენი. ან კი როგორ არ შეიუვარებს ადამიანი. ამათ სახლში დავბერდი, მაგათი მამაც ჩემი გაზრდილია. ისიც საშინელი ცელქი ბავშვი იყო. საშინლად უუვარდი, ჩემი კალთიდან არ გადადიოდა. ვუტეოდი სოლმე, ჯვარის დასაწერად კალთით სომ არ მიციევან მეთქი. — არა, გამდელოო, ჯვარის დასაწერად კეკლესინაში ეტლით წავალ, მეტეოდა სოლმე. ბავშვი იყო და ასეთ ზანუსს მომცემდა სოლმე. ეჭვ, კარგა სანია მას შემდეგ... მა-

შინ მე ახალგაზრდა ვიყავ, მას უკან ბევრმა კოკა მარტოვანი წაიარა. ჩემი ტოლები თითქმის ეკვლანი დაიხოცნენ, მზარეულ თევდორესა და მეზობლიანთ თინათინის მეტი. მართლა და ნეტა რა დავმართა თინათინს, რომ ამდენ ხანს აღარ უნახავარ? შემოსულიყო მაინცა, უვა დაძველებინებინა (ისმის კარის რაკუნის).

გამოსვლა მორაი

თინათინი. (კარებიდან) შეიძლება შემოვიდე?

გამდელი. ქა, ახლა შენს სსენებაში ვიყავი. მოდი, მოდი გეთავა! რა დავმართა, სადა ხარ, რომ ამდენ ხანს აღარ მნახე? მობრძანდი, დაბრძანდი; ამ წუთს ევახს მოვხარძავ (მავიღასთანა ფუსფუსებს). სსევა, როგორ გიკითხო, სომ კარგათა ხარ, ჩემო კარგო? ახალი რა იცი?

თინათინი. მე როგორღაცა ვსერაქვერაობ. ქა, მართლა, არ იცი? თევდორეს ლიხას ათხოვებენ, მებულაკეს აძლევენ. ამბობენ, კარგი კაცი არისო.

გამდელი. გამესარდა, დმერთს გეფიცები! კარგი გოგონაა, დმერთმა უშველოს! დაჯექი, გენაცვა, უვა მიირთვი (ორივენი მოუსხდებიან მაგიდას და ფინჯნებით ყავას შეეკცევიან).

თინათინი. კიდევე ერთი ახალი ამბავი ვიცი, მაგრამ თქმაც კი შეძენელება!

გამდელი. (შეშფოთებული) რა ამბავი, გეთავანე? ნულარ ტანჯავ, ჩქარა მითხარი...

თინათინი. ჰოი, მშობელო დედავ, რა საშინელებაა (დაბალს ხმით) წუსეღ ჩვენს ეზოში ქურდებმა სამი სახლი გაცარცვეს და კინაღამ კაციც მოჭკლეს.

გამდელი. რას ამბობ, გენაცვა! ჩვენი სულ მარტოკანი ვართ, მსოლოდ მონახლესა სძინავს სამსარეულოში.

თინათინი. იცი, კიდევე რა მოხდა? ჩვენი გოგოები ჭერში ავიდნენ და, ვნასოთ, რაღაცა აღქავი კი გამოეცხდათ. სამინელი სანახავი იყო თურქე: შავ თვალებს მეკლივით ანა-

თება. გოგოები შეშინდნენ და გამოიქცნენ. ისიც უკან
მოედევნა. წავიდნენ დასაწყობად, მაგრამ დაეძალათ.

გამდელი. მაშ, ვეღარ იპოვეს? რა საშინელებასა ღაპარაკობ?!
თინათინი. ერთი სელობა კვალი მიიკვლიეს, მაგრამ ისევ
გაექცათ. ამბობენ, უბეში დიდი დანა უდევსო.

გამდელი. ეს რა მომხდარა, გენაცვალეთ! (შეშინებული აქეთ-
იქით იყურება, კარებსა სინჯავს, დაკვირილია თუ არაო).

გამოსვლა მისამი

თინათინი. (თავშლით პირს იხვევს) სად წახვევ, ადამიანო? ახლო
მოდი... დიად, ცუდი ამბებია. კიდევ რაღეებსაც ღაპარაკობენ...

გამდელი. კიდევ რასა ღაპარაკობენ?!

თინათინი. იმასა, რომ აი რაღაც ჯანდაბა ვერაზინ დაი-
ჭერსო. ისეთი შელოცვა ეცოდინება, რომ ახლო ვერაზინ მიუ-
დგებაო. გაშიგონია, ძაღლების შელოცვა იციან, რომ ვეღარ
დაჭეუფოსო. იმათ თურმე ვერანაირი კლიტე ვერ დაიმკვრებს;
ეშმაკათაც-კი იქცევინ, თუ მოისურვებს.

გამდელი. (შიშით) ნეტა რა უნდა იყოს! გესმის, აქაც რა-
ღაც აფსაკუნებს (ფხაკა-ფხუკი მოისმის იმ მხარედან, სადაც კარდო-
ნის ყუთი სდგას).

თინათინი. არაფერია, უთუოდ მოკეჩვენა. ჩვენს საჯინობოში-
კი მართლა რაღაცა ავი სული იმალება. მობინდდება თუ არა,
ასტეხს რახა-რუსს, კარების ბრახუნს.

გამდელი. არა, გენაცვალე, აბა, უური დაუგდე? ღმერთო
ჩემო, ჩვენთანა არს ღმერთი! (ფხაკუნი მატულობს, კნუტი იბრ-
ძვის ყუთიდან ამოსასვლელად).

თინათინი. გვიშველეთ, ქრისტიანებო, რაღა ვქნათ! სად
წავიდეთ! (წამოხტება).

გამდელი. (შეშინებული თინათინს ეხვეწება) ნუ მიდიხარ, თუ
ღმერთი გწამს! (ხელს უჭერს).

თინათინი. (ყვირის) გაშიშვი, გაშიშვი! არიქათ, ვიღაც მოდის!
(ამ დროს კნუტი ყუთიდან ამოხტება. ყუთი რახრახით დაგორავს ია-

ტაკზე. კნუტი ოთახის მეორე კუთხეში მიიბრუნს. ბებრები კი ვერც
 გარბიან, მაგიდას დაეჯახებიან და წაიქცევენ, ლამზა გადმოვარდება და
 გატყდება).

თინათინი. მშობელო დედავ! რაღაცა რბილად მომხვდა სკელში.

გამდელი. დასე, დასე, როგორ ანათებს თვალებს! გაჭჭრი,
 გაჭჭრი, გაჭჭრი, წვეულო!

თინათინი. ვაიძე, სკელსე მებლაუჭება, მაფხაჭხის! მიძველეთ,
 ღვთის გულისათვის! კარები საით არის? (ისმის ზარის რეკვა.
 ბებრები ოთახში დარბიან და კვიან).

გამდელი. ღმერთო ჩემო, ვიღაც მებლაუჭება! მკლავენ, მი-
 შველეთ, დაძისხენით!

გამოსვლა მითხმ

(კარები გაიღება და შემოდინ: დედა, კოტე და სონა უკან მო-
 სდევთ მოახლე გოგო სანთლით ხელში).

დედა. გამდელიო, რა აძბაჯია, რა მოხდა? ბნელაში რათა
 ხართ? რამდენ ხანსა ვრეკეთ ხარი, ძლივს გაგაკონეთ, რა
 დაგმართნიათ, რასა ჭკუკხართ ორთავენით? მაგიდა წაგექცევიათ,
 ლამზა გაგატეხნიათ! ეველაფერი არეულია! რა მოგვსლიათ?

თინათინი. (ლულულულით) ქაღალბატონო, ეველაფერი იმისი ბრ-
 ლია..

დედა. ვინ იმისი?

გამდელი. სკელები დააფხაჭხნა, მე ესღაც კაბასე მებლაუჭება..

კოტე. (სიცილით) გამდელიო, კაბა ლურსმანსე გამოვდებია!

გამდელი. (დარცხვენით) დასწვევლოს ღმერთმა, მე-კი რა შე-
 გონა!

თინათინი. (საყვედურის კილოთი) ძაშ, ის თვალები რაღა იყო?
 ძაშ სკელს ვიღა მაფხაჭხიდა?

კოტე. (იატაკიდან კარღონს აიტაცებს, ჰხტუნავს და იცინის) ვი-
 ცი, ვიცი, ვინც გაფხაჭხიდა სკელსა... სონა, კნუტი ამომხ-
 ტარა უუთიდან. არიქა, მიშველეთ, მოვძებნოთ! (ორივენი დაემე-
 ბენ ოთახში და კუთხიდან გამოათრევენ. ორივენი ერთხმად) დედა,
 დედა, აი კნუტი! აბა, ნახე რა კარგია, რა მშვენიერია!

დედა. არაფერი მესმის! რა კნუტი, საიდან მოიგვანეთ?

სონა. კოტემ ქუჩიდან შემოიყვანა; გაუნუღიეო საყვდელი
გამდელი ვაგვიჯავრდა და იმას დაუძალეთ.

დედა. მამ, კნუტმა შეგაშინათ აგრე ძლიერ?!

თინათინი. კნუტია! რა ბრძანებაა, ქაღბატონო! რაღაც არა
წმიდა სული იყო.

გამდელი. (საყვედუროთ კოტეს) ეს სულ შენი ოინები კია,
აი, შე ლაზღანდარავ შენა! ანაღვლე, თუ ჩვენ შიშით დავი-
ხოცენით! (სონა დედას კნუტს აჩვენებს).

სონა. დედილო, ერთი ნახე, რა მშვენიერი რამ არის! მართლა
რომ კარგი რამ არის, არა?

დედა. (ხელს უსვამს კნუტს) ძალიან, ძალიან კარგი კნუტია!
ციმბირის ჯიშისა უნდა იყოს!

სონა და კოცე. (სიხარულით) მამ, შეიმღება დავუტოვოთ, არა?
დედილო, გენაცვალე, ჩემო დედილო, თქვი-ჭოოთქო.

დედა. ღმერთო ჩემო, დამხსრჩეს! ჭო, ჭო!

კოცე. გამადლობთ, დედილო! სონა, ჩვენ გავიმარჯვეთ!

სონა. (კატას უაღერსებს) ჩემო ხრუტუნიავ, კარგო, მშვენიერო!

გამდელი. თითო რამ სისულელეს მოიგონებენ, ბატონო,
და მოსვენება აღარ არის ამათგან. (კოტეს). სულ შენ-კი ხარ, შე
მოუსვენარო შენა! ნეტა ვის დაემეზავსე აკეთი დაუღებარი?!

თინათინი. არა, გენაცვალეთ! თქვენ რაც გინდათ ბრძანეთ და
აქ რაღაცა ავის სულის საქმეა. კნუტია! მერე საიდან გაჩნდა
ოთახში კნუტი? ნამდვილად ავი სულია (თავის ქნვეთ ვადის. ბავ-
შეები იცინიან).

ზარდა

მ. კლიმიაშვილი





პირუტყვის ჭკუა

საილო — გამდილი

(რუსულთ)



ნდოეთში სწილოები სძირად ასრულებენ გამდილის მოვალეობას. როდესაც მშობლები მიდიან სამუშაოდ, ამ უსარ-მასარ ჰირუტყვს ეზოში ჯაჭვით მიამბამენ ჰალოსე, მის გვერდით ბაღასზე დასვამენ ბავშვს და სრულიად გულ-დამძვიდებულები მიდიან. მართლაც სწილო გამდილზე უკეთ იჭერს თვალს. ბავშვი ჩვეულებიანამებრ უშიშრად დაცოცავს სწილოს ფეხებ შუა. თუ შორს გაცოცდა ბაღლი, სწილო სორთუმიით ფრთხილად აიკვანს და ისევე თავის ალაგას დასვამს.

არას დროს ბავშუთან სხვას არ მიუშვებს: თუ ვინცობაა სხვა ვინმე მიუახლოვდა, სწილო თავის მძლავრ სორთუმს დაჭკრავს და სიცოცხლეს გამოასაღებებს. **ოლლა ჭრელაშვილი**





პირის თავგადასავალი

XXIV* აზრღაბი

(ფრანგულით)



ერ კიდევ კარგა არ დაღამებულა ფინია, სჯობს ამ ტყეში მივიძალოთ.

— არა, გაიძვერა, — უთხრა ფინიამ, — ცოტა თვალ-ნათლივ უნდა მივაგნოთ შესავალ კარებს, არ ვიცია, საით არის.

— შენ თავის დღეში არა იცია რა, — უხახუსა გაიძვერამ; — ტუილაღ დაურქმევიათ შენთვის ფინია; მე უფრო მოუხეშავს დაგარქმევდი.

ფინია. მანც მე უფრო მომდის სოღმე კაი აზრები.

გაიძვერა. კარგი აზრება! მგას ბოლო გამოანენს, ახლა რა უნდა ვქნათ სასახლეში?

ფინია. ბოსტნეული უნდა მოვიზაროთ: ღობიო, ცურცვი, სტაფილო, არტიშოკი და ხილი, ზევრა საქმე გვექნება.

გაიძვერა. მერე?

ფინია. რა მერე? ღობეს იქით გადავერით, მერე ბასარში წავიდეთ და გავუიდეთ.

გაიძვერა. საიდან შესვალ, მე სულელო, ბაღში?

ფინია. ღობიდამ, მივაღვამ კიბეს და გადავალ, შენ გკონია, მებაღეს დაუძახებ კარის გასახლება?

გაიძვერა. კარგია, გაათავე შენი ოსუნჯობა. დანიშნული კი ვაქვს ალაგი, საიდანაც უნდა გადავძვრეთ?

ფინია. არა, იმისთვის გეუბნები, ესლავე წავიდეთ მეთქი და ვაგმინჯოთ.

გაიძვერა. რომ დავინახონ, მაშინ რას იტყვი?

ფინა. მაშინ ვეიტყვი, რომ ჰური მაჭამონ და ერთი ჭიქა ღვინო დამაღვინონ.

გაიძვერა. ეგ არ ივარგებს. ერთი ხერი მოძივიდა; მე მინახავს ის ბოსტანი და შემწნეული მაქვს ერთ ალაგას გადასგრეული კედელი, იმ ნანგრევს დავადგამ ფეხს და გადავად, შერე კიბეს მოგაწოდებ, რომ შენც ამოხვიდე, თორემ შენ ისე ვერას მოახერხებ.

ფინა. მართალია, მე კატანსავით ვერ გადავხტები, როგორც შენ.

გაიძვერა. რომ ვინმემ დაგვიძალოს?

ფინა. რა ემაწვილი ხარ, თუ ვინმე მოვა და დაგვიძლის, მე ვიცი, რა ზანუხსნაც მივცემ.

გაიძვერა. რას უხამ?

ფინა. თუ ძაღლია, ეელს გამოვჭრი, ტყუილად ხომ არა მაქვს გაღესილი დანა.

გაიძვერა. თუ კაცი?

— კაცი? უზანუხა ფინიამ და მოიქექა თავი, კაცს ძაღლივით ვერ მოვკლავ ბოსტნეულის გულისთვის! სანახლეში ბეჭერი ხალხიც არის.

გაიძვერა. მაშ, რას უხამ?

ფინა. ძგონია, გაუიქცევი, ავრე ეძჯობინება.

გაიძვერა. აი, მე მშიშარა! იცი, თუ კაცი დავიხვდა, მაშინვე დამიძახე და მე ვიცი, რასაც უხამ.

ფინა. როგორც გინდა, მაგახე არ დავთანხმდები.

გაიძვერა. მაშ, ავრე რაღა, წავალთ ღამე ბაღში, შენ იდარაჯებ, რომ მაცნობო, თუ ვინმე არის, შერე გადავად და მოგაწოდებ კიბეს.

— ძალიან კარგი, უზანუხა ფინიამ.

უცებ ხუმად წასსურსულა:

რაღაც ხმა მომესმა, ხომ არაფერ არის აქ?

— ვინ იქნება ამ ტყეში, — უნასუხა გაიძვერამ, — რა მარა რამა ხარ, ეგ ან ბაუაი იქნება ან კველი — მეტი აღარა უთქვამთ-რა, მეც არ გავსმრეულვარ, ვფიქრობდი, როგორ და-მეძალა ამ ქურდების სასახლეში მისვლა, ან როგორ ვაცნობო მეთქი ვისმე. წინ სომ ვერ დუდგებოდი?! ბოლოს ერთი ასრი მომივიდა, მოუცადე ვერ იმათ წასვლას, რომ მეც ვაგულოვდი. მანამ-კი ჩუმი ვიყავი, რომ ეჭვი არ ამეღებინებინა. ბნელი ღამე იყო და ვიცოდი, რომ ჩქარა ვერ ივლიდნენ. მე მოკლე გზით მოუარე და მიველ იმ ალაგას, სადაც კედელი ცოტა ჩამონგრეული იყო, და მივეუდე კედელს, ისე რომ არავის არ დავენახე. ერთხანს ვიცადე და ბოლოს გავიგონე წენბარი ფეხის ხმა და ჩურჩული. ვაკრძენ, ჩემსკენ მოდიოდა გაიძვერა. ფინია-კი კარებს უკან მიიძალა. მე ვერ ვხედავდი სიბნელეში, მაგრამ ვგრძობოდი ვველაფერს და მესმოდა. როდესაც გაიძვერამ რამდენიმე ქვა გადმოაგდო, რომ ფეხი კარგად მოეკიდნა, დაიწყო ასვლა კედელზე, მე გაუწეული ვიდექ სუნთქვა შეკავებული, კარგად მესმოდა-კი მისი ფათურის ხმა. როდესაც ავიდა კედელზე, ამ დროს ვტაცე ფეხში ზირი და გადმოვაგდე ძირს. ისე უცვებ რომ, ვერა მოისახრა-რა და, რომ არ დაევირნა, წისლიც ჩავცხე თავში. ნანკრევი ქვბაც დაეუარა ზედ და ეგდო გულ-შეწუსებული. მეც უძრავად უდეგ გვერდით და მოველოდი მის ამხანაგს, რომელიც, უეჭველია, მოვიდოდა მის ამბვის შესატეობად; მართლაც მომესმა ფეხის ხმა. ფინია ფრთხილად მოიძარებოდა, ხან შედგებოდა, უურს მიუკდებდა, და ამ გვარად მიუახლოვდა თავის ამხანაგს. და რადგანაც ძალიან კედელს უეწრებდა, ვერ დაინახა, რომ ძირს ეგდო გაშლართული უძრავად.

— სუ! სუ!... კიბე არ მოგაქვს?.. ამოვიდე? — ეკითხებოდა ჩურჩულით. მეორე ზასუსს არ ამღკვდა; ვხედავდი, რომ ასვლას ვერ ჰბედავდა, მეძინოდა, არ განბარულიყო, მივვარდი და წავაქციე, იმასაც კი წისლი ჩავცხე

თავში და უკონოდ მივაწვინე ამხანაგთან. ამ საქმეს როგორც
 რწი, მიველ მებადის სახლთან და, რაც ძალი და ღონე მქონ-
 და, დავიწვეე უროეინი, ხან თავლას ვეცი, ხან სახლს ურო-
 ეინით, დავაღვიძე ვეკლანი, მთელი სახლი ფეხზე დავაუენე.
 ზოგნი მსახურნი შეიარაღებულნი გამოცვივდნენ ფარნებით.
 მიუხანლოვდი, გაუძეს კედლისკენ და თავზედ წავაუენე ქურ-
 დებსა.

— ორი მკვდარი კაცია! რას ნიშნავს ესა? — სთქვა ზიუ-
 რის მამამ...

უაკის მამა. არ არიან მკვდრები, სუნთქავენ.

მებადე. აგერ ერთმა ამოიკენესა კიდევც.

მეექლე. სისხლი გადმოადის თავიდან.

ბიურის მამა. მეორესაც მატკვარი ჭრილობა აქვს, წიხლ
 ნაკრავს ჰკვანან.

უაკის მამა. სწორედ ნაღის კვალი ამხნეკია შუბლზე.

ან. ამილახვარი

(შემდეგი იქნება)



ანაკლოტი ბავშვების ცხოვრებიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამოცანის გამოყვანა

(დუქანში სიჩქაროდ ჩაირბინა პატარა ბავშვმა-მოწაფემ)

ვაჭარი. რა გინდა, ჩემო კარგო?

ბავშვი. თუ ვიყიდი 2 გირვანქა შაქარს სამ-სამ შაურად, 1/2 გირვანქა ჩაის 2 მანეთად ღირებულს გირვანქას, 3 გირვანქა მკაბრონს თითო აბაზად და 7 1/2 გირვანქა ფქვილს რუბარუბა კან., რამდენი ფული უნდა მოვცე?

ვაჭარი. ესლავე... (ანგარიშობს) ჰმ... საჭიროა 2 მან. 50 კ., ესლავე ავწონავ. ეველა ამას ესლა წაიღებ?


ბავშვი. არა. გმადლობთ, ბიძიავ. არც ერთი არ მინდა. მე გამოვიყვანე ამოცანა და მინდოდა გაბეგო, მართალია თუ არა? მაშ, მართალია ეოფილა! გმადლობთ! (გარბის).

რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ს. ბერეკინისაგან)



„**ს**“



ნაცვალ სახელი

„**ს**“



მე-2 №-ში მოთავსებულ რეზუსის აღსნა:
აღაზანი და იორი კახეთს რწეავენ.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს:

თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან. საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მ. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., ტფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილ. 80 კ. თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება

თფილისში მომავალი კანტორაში, ბათუმში, სამტრედიოში და ქობულთაში რეზის შეკუმბში, ქუთაისში ის. კუცარაძესთან, ზაზაბერძენი ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—მ. თალაკვაძესთან. ზიღისთავში ნ. კობინესთან, ფოთში კ. ფრუშაძესთან, დანასტენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნოს უფლი რედ. კანტორაში.

რადგან აღრესების დამზადება პეკრ დროსა და შრომის მოითხოვს — იმ ხელის მოწერულგზმა, რომელითაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლად ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერიონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3 ზემო სართული. ფუზის გამო-საგზავნი ადრესი: Тифлисъ, тш. „Шрома“. К. Цуладзе.

ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ვ თ ნ ი“

გამოდის იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა გაზეთის ფასი წლიურათ

ქალაქშილ ატარებით 3 მ.—ვინც რედაქციაში მოიკითხავს ვაზ. დაეთმობა 2 მან. 50 კ. ქალაქ გარეთ 3 მან. 50 კ. ნახევარი წლით 2 მ. 50 კ. სამი თვით 1 მ. 50 კ.

რედაქციის ადრესი: Кутяисъ, Балаханская ул., домъ № 37
Редакция „ПОНИ“

ОПЫТА ПОДПИСКА НА 1910 ГОДЪ

на ежедневную общественно-политическую и литературную газету

Новая Рѣчь

ПОДПИСНАЯ ПЛАТА

	На годъ.	На полъ года
Для городскихъ . . .	7 руб.	4 руб.
Для иногородныхъ . .	8 руб.	5 руб.

Помѣсячно—75 коп.

Редакторъ принимаетъ только отъ 2 до 3 час. дня. Секретарь отъ 10 до 3 ч. и отъ 7 до 8 ч. вечера.

Адресъ: Тифлисъ, Дворцовая, д. грузин. дворянства, редакция газеты „Новая Рѣчь“.
Редакторъ-издатель П. А. ГОТУА



გიიღება ხელის მოწერა 1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდის.

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი მთავარი

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24

წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის

12

წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

- I. დედამეფა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევადლისა კეკის სურათით. — I. მარჯნები, — ზღაპარი ევადლისა ოთხი სურათით.
- III. თორმეტი და, — ზღაპარი ევადლისა ერთი სურათით. — IV. პარ-თული მხატვრული ასომივი კაბიკაჟი.

ჟურნალს ხელმძღვანელობს ს. უწყეს სიგანეობად ანუელა სარედაქციო კომისია.

ფასა ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევარს წლით სამი მან.

სამზღვარ კარგი: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მტარე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შეიღება წლიურად და ნახევარს წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პრახსკ., ზუბალოვის სბ., № 8, ყოველ-ღღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალ-ზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.